

კიევში სააკაშვილის დაკავების ფაქტს საქართველოს პროკურატურა ეხმაურება

✘ საქართველოს პროკურატურაში აცხადებენ, რომ კიევში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, უკრაინის გენერალური პროკურატურისგან ინფორმაცია არ მიუღიათ. ამის შესახებ [1tv](#) წერს.

“როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საქართველოს პროკურატურას გაგზავნილი აქვს უკრაინული მხარისათვის შუამდგომლობა მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირების თაობაზე, ხოლო შემდგომი გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს უკრაინის შესაბამისმა უწყებებმა. რაც შეეხება უშუალოდ დღეს განვითარებულ მოვლენებს, ამის შესახებ საქართველოს მთავარ პროკურატურას უკრაინის გენერალური პროკურატურისგან არანაირი ინფორმაცია არ მიუღია”, – აცხადებენ პროკურატურაში.

უკრაინის გენერალური პროკურორი იური რუცენკო დღეს ქვეყნის უმაღლეს რადაში „სენსაციურ“ განცხადებას გააკეთებს პარლამენტის შენობასთან მიმდინარე აქციების დაფინანსების წყაროსთან დაკავშირებით. ამ აქციების ორგანიზატორი მიხეილ სააკაშვილია, რომელიც დღეს დააკავეს. ამის შესახებ უმაღლესი რადას ფრაქცია „პეტრო პოროშენკოს ბლოკის“ წევრმა სერგეი ბერეზენკომ განაცხადა.

„ჩვენ დღეს მივმართეთ გენერალურ პროკურორს და ვთხოვეთ, პარლამენტში მოხსენება გააკეთოს. რასაც ამ მოხსენებიდან მოისმენთ, ვფიქრობ, ნამდვირი სენსაცია იქნება,“ – განაცხადა დეპუტატმა ტერეკომპანია [112 Украина-სთან](#) საუბარში.

უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ოფიციალურ [ვებგვერდზე](#) აცხადებენ, რომ სააკაშვილს დანაშაულებრივ დაჯგუფებებთან თანამშრომლობასა და მათი საქმიანობის დაფარვაში ედება ბრალი. გამოძიება მაღალჩინოსნის დაკითხვას აპირებს.

სააკაშვილის ადვოკატის, პავლე ბოგომაზოვის თქმით, საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში სახედმწიფო გადატრიალების მცდელობის ხერხეწყობაშია ეჭვმიტანილი.

imednews.ge